საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-706

24/07/2019

ქ. თბილისი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ლოტი I, სამხრეთ პორტალი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-11 და მე-13 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ლოტი I, სამხრეთ პორტალი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N70 (17.07.2019);
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N70 (17.07.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი